ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 3

22 ნოემბერი , 2017 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გიორგი ბირბიჩაძე

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

თარაშ შურღაია

ასევე: იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია და საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ლევან ჯაფარიძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. სახელდების და სიმბოლიკის კომისიის მუშაობის პრინციპი, სამუშაო გეგმა, განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოები (ელექტრონული პრეზენტაციის სახით)
2. კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები სამომავლო სამუშაოებზე
3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ ისაუბრა. მან წარმოადგინა პრეზენტაცია სახელდების და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოები, კომისიის სამომავლო გეგმები და კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა, რათა ერთად იქნეს მიღებული ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

თინათინ ნიბლოშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კომისია ინტენსიურად გააგრძელებს დაინტერესებულ პირთა განცხადებების განხილვას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათ დაკმაყოფილებას. სახელდების პროცესში ასევე აქტიურად იქნება განხილული ახალი ინიციატივები და გამოწვევები, როგორც კომისიის წევრების, ასევე დაინტერესებული მოქალაქეების მხრიდან.
თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად მარიკა დარჩიას განსაზღვრა შესთავაზა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიამ მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს ამომწურავი პრეზენტაციისთვის, რამაც სრულყოფილი და თვალსაჩინო გახადა კომისიის არცთუ მარტივი სამუშაო პროცესი. მარიკა დარჩიას აზრით, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საბჭოსთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ სიმბოლოები ქმნიან წესებს. რაზეც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ უახლოეს დღეებში იგეგმება შეხვედრა ჰერალდიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, მამუკა გონგაძესთან.

მარიკა დარჩიას ინიციატივით, კომისიამ მუშაობის პროცესში აუცილებლად უნდა იმსჯელოს, რომ ქუჩებისთვის სახელის გადარქმევა არ იყოს ინტენსიური. სხდომაზე ისაუბრეს დედაქალაქის ქუჩებისთვის ომში დაღუპულთა სახელების დარქმევასთან დაკავშირებით საერთო წესის შემუშავებაზე და ფილტრზე, რომელიც კომისიას საშუალებას მისცემს ობიექტურად იმსჯელოს სახელდების მიზანშეწონილობაზე.

კომისიის წევრმა მარიამ ლაშხმა ისაუბრა კომისიის და განათლების სამინისტროს ურთიერთობაზე, სტუდენტების და მოსწავლეების ჩართულობის მიზნით. განხილულ იქნა ტურიზმის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის პერსპექტივაც.

სხდომაზე მოქალაქეთა ჩართულობაზეც იმსჯელეს. კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თვეა არსებობს პრაქტიკა, რომ საკრებულოს სხდომამდე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები მოქალაქეთა განცხადებთან და შესაბამის განკარგულების პროექტებთან ერთად იტვირთება საკრებულოს ვებ-გვერდზე და ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს 20 დღის ვადაში გაეცნოს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. თუმცა აქვე მამუკა ბალიაშვილმა ზემოაღნიშულთან დაკავშირებით საზოგადოების პასიურობაზე ისაუბრა.

სხდომაზე კომისიის წევრებმა ბევრი სხვადასხვა მოსაზრება მოისმინეს. მარიკა დარჩიას აზრით, კარგი იქნება ე.წ. „სარეზერვო სახელების" პრაქტიკის დანერგვა. თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი ღირებული ჯერ გროვდება და მერე ხარისხდება და ამ მხრივ აღნიშნულ პროცესში მოქალაქეების ჩართულობაზეც ისაუბრა.

მამუკა ბალიაშვილმა სახელდების პროცესში ტოპონიმების შენარჩუნება-გამოვლენასა და აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გადაწყვიტეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად სხდომა შეაჯამა. მან კომისიასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბებაზე ისაუბრა და აღნიშნა, კომისია აუცილებლად იმსჯელებს ზემოაღნიშნულ ინიციატივებთან დაკავშირებით, რაც კომისიის საქმიანობას უფრო აქტიურს და საინტერესოს გახდის. მიღებული გადაწყვეტილებები და ცვლილებები კი აუცილებლად შეეტყობა დედაქალაქს.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თ ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

22 ნოემბერი, 2017 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი